საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს
საქვეუწყებო დაწესებულება
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა და ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის

საკონკურსო განცხადება

წინამდებარე საკონკურსო განცხადება შედგენილია "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონისა და "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის 33 ბრძანების საფუძველზე

ქ. თბილისი

სარჩევი

1. საკონკურსო განცხადება ---------- 3

2. ტექნიკური დოკუმენტაცია---------- 9

3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი---------- 16

4. დამატებითი ინფორმაცია---------- 27

5. დანართი №1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა---------- 28

6. დანართი №2 რეკვიზიტები---------- 29

7. დანართი №3 ხარჯთაღრიცხვა---------- 30

1. საკონკურსო განცხადება

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს: **სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა და ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურების შესყიდვაზე** და იწვევს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს:

1. შესყიდვის ობიექტი: სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა და ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის საპროექტო მომსახურება.
2. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება: შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენს **126 000** (ას ოცდაექვსი ათასი) ლარს.
3. დაფინანსების წყარო: საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.
4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები: ხელშეკრულების გაფორმებიდან **2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**
5. კონკურსში მონაწილეობის საფასური: საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის საფასურს "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 191 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ოდენობით (50 ლარი). საფასური გადაიხდება სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge).

სააგენტოს ანგარიშის ნომერი, რომელზეც გადაიხდება საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასური:

მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში
მიმღების ბანკი - სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი - TRESGE22
მიმღების ანგარიში/სახაზინოკოდი - 707797130

- საკონკურსო წინადადების წარდგენის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:
  - გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
  - შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
  - კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
  - საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

შენიშვნა: საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს, არ განიხილება. ამასთან მე-5 პუნქტის დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, მონაწილე პირი ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

6. **საკონკურსო წინადადების მიღება:** კონკურსანტებმა საკონკურსო წინადადება უნდა წარმოადგინონ 2 (ორი) დალუქული კონვერტით:

6.1. **ფინანსური წინადადების კონვერტი,** რომელშიც უნდა იყოს განთავსებული სატენდერო წინადადების ფასი და ხარჯთაღრიცხვა, მე-10 პუნქტის 10.3 და 10.4 პუნქტებით გათვალისწინებული დანართები №2 და №3;

6.2. **ტექნიკური დოკუმენტაციის კონვერტი,** რომელშიც უნდა იყოს განთავსებული მე-5 პუნქტით გათვალისწინებული კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, დამოწმებული აფიდავიტის ფორმა (დანართი №1) და მე-10 პუნქტის 10.5—10.8. პუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია.

კონვერტები წარმოდგენილ უნდა იქნას ცალ-ცალკე პაკეტებად, 2015 წლის 11 მაისიდან 19 მაისის 11:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12, მე-4 სართული, ოთახი №413, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი.

7. **საკონკურსო წინადადებების გახსნა:** საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დალუქული ტექნიკური დოკუმენტაციის პაკეტების გახსნა მოხდება 2015 წლის 19 მაისის 15:00 საათზე, ხოლო ფინანსური წინადადებების პაკეტები შეინახება დალუქულ მდგომარეობაში პრეტენდენტთა ტექნიკური დოკუმენტაციის შეფასებამდე.

8. ამ განცხადების მე-6 პუნქტის მოთხოვნების დარღვევით, აგრეთვე დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადება არ განიხილება და დაუბრუნდება კონკურსანტს.

9. **საკონკურსო წინადადებების მოქმედების ვადა:** საკონკურსო წინადადება ძალაშია გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

10. **საკონკურსო წინადადების შემადგენლობა:** დალუქული პაკეტით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება უნდა შეიცავდეს:

10.1 **საკონკურსო წინადადების ფასს** (ციფრობრივად და სიტყვიერად). საკონკურსო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარში და უნდა შეიცავდეს ყველა გადასახადს (მ.შ. დღგ-ს).

10.2. **დამოწმებულ აფიდავიტს** (დანართი №1)

10.3. **რეკვიზიტებს** (დანართი №2)

10.4. **ხარჯთაღრიცხვას** (დანართი №3).

<u>10.5. ინფორმაციას მომსახურების გასაწევად საჭირო მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის შესახებ.</u>

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა გააჩნდეს საკუთარი ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ნებადართული ან აუკრძალავი ნებისმიერი ფორმით (ქირა, თხოვება და ა. შ.) თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი მოწყობილობა-დანადგარები, აპარატურა და ხელსაწყოები.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოცემული **ცხრილის N 1-ის** შესაბამისად:

N	მოწყობილობა-დანადგარების და აპარატურის დასახელება	რაოდენობა	აღწერილობა: მოდელი, მარკა, გამოშვების წელი	მდგომარეობა (ახალი, ნახმარი)	საკუთრება ან სარგებლობის ფორმა (საკუთარი ან იჯარა)
1	GPS (გადასაადგილებადი) 1 სმ სიზუსტის მახასიათებლით	1			
2	ელექტროტაქეომეტრი	1			
3	კომპიუტერული ტექნიკა	2			
4	პრინტერი	2			
5	ფოტოაპარატი	1			

<u>10.6. ინფორმაციას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის ძირითად სპეციალისტთა (იმ ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის, რომელიც დაკავებული იქნება ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევაზე, და რომელიც იღებს ტექნიკურ გადაწყვეტილებას) კვალიფიკაციის და გამოცდილების შესახებ.</u>

10.6.1 შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს კონკურსით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად უნდა ჰყავდეს წარმოდგენილი ის ძირითადი სპეციალისტები, რომლებიც მოთხოვნილია ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით. ამასთან, მათ უნდა გააჩნდეთ კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების გაწევის არანაკლებ 5-10 წლიანი გამოცდილება:

N	დასახელება	ანალოგიურ სამუშაოებზე მუშაობის მინიმალური სტაჟი (წელი)	რაოდენობა
1	ჯგუფის ხელმძღვანელი/ინჟინერ-მშენებელი	10	1
2	ჰიდროტექნიკოსი	10	2
3	ჰიდროლოგი	10	1
4	გეოლოგი	5	1
5	გეომორფოლოგი	5	1
6	ტოპოგრაფი	5	2
7	ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი	10	1

10.6.2 მოთხოვნილი ძირითად სპეციალისტთა საერთო რაოდენობის არანაკლებ 80 პროცენტისა უნდა იყვნენ საქართველოს მოქალაქეები.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი **ცხრილი N 2-ის** შესაბამისად:

N	თანამდებობა	გვარი, სახელი	მუშაობის საერთო გამოცდილება	ანალოგიურ **პროექტებზე** მუშაობის გამოცდილება (10.7 პუქტით გათვალისწინებულ ანალოგიურ **სამუშაოებზე**)		მათ შორის: ნაპირსამაგრი სამუშაოების საპროექტო მომსახურება
			(წელი)	(წელი)	(**პროექტების** რაოდენობა)	(**პროექტების** რაოდენობა)
1	ჯგუფის ხელმძღვანელი/ ინჟინერ-მშენებელი					
2	ჰიდროტექნიკოსი					
3	ჰიდროტექნიკოსი					
4	ჰიდროლოგი					
5	გეოლოგი					
6	გეომორფოლოგი					
7	ტოპოგრაფი					
8	ტოპოგრაფი					
9	ხარჯთაღრიცხვის სპეციალისტი					

10.6.3 - პრეტენდენტმა, მის მიერ შემოთავაზებულ თითოეულ სპეციალისტზე უნდა წარმოადგინოს საანკეტო მონაცემები ქვემოთ მოყვანილი ფორმის შესაბამისად, რომელიც მოიცავს სპეციალისტების ბიოგრაფიულ მონაცემებს, ინფორმაციას მათი განათლებისა და კვალიფიკაციის შესახებ, საკონკურსო განცხადებით გათვალისწინებული ანალოგიური საპროექტო მომსახურების პროექტებში გამოცდილების ქონის შესახებ:

საინფორმაციო ანკეტა	
1. პირადი მონაცემები	
პროექტში დასაკავებელი თანამდებობა	
სპეციალისტის სახელი და გვარი	
დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
მოქალაქეობა	
2. განათლება	
უმაღლესი განათლება (უმაღლესი სასწავლებელი, სწავლის დაწყებისა და დამთავრების წლები, ფაკულტეტი, სპეციალობა დიპლომის მიხედვით)	
მიღებული სერტიფიკატები (დასახელება, თარიღი)	
ტრენინგები (დასახელება, დაწყებისა და დამთავრების წლები)	
სამეცნიერო ნაშრომები (დასახელება, გამოცემის წელი)	
სხვა (გაერთაინებების, ასოციაციების, და ანალოგიურის წევრობა)	
3. საერთო პროფესიული გამოცდილება	
მუშაობის წლები: ორგანიზაციის ან კომპანიის დასახელება: მისამართი: დაკავებული თანამდებობა: ძირითადი ფუნქციები:	1
	2
	3 და ა.შ.
4. ნაპირსამაგრი სამუშაოების საპროექტო მომსახურებაში არსებული გამოცდილება*	
პროექტის დასახელება: პროექტის ღირებულება: მიმდინარეობის წლები: განმახორციელებელი კომპანია: დაკავებული თანამდებობა: ძირითადი ფუნქციები:	1
	2
	3 და ა.შ.
5. სხვა ანალოგიურ პროექტებში (გარდა ნაპირსამაგრისა, 10.7 პუნქტის მიხედვით) მუშაობის გამოცდილება*	
პროექტის დასახელება: პროექტის ღირებულება: მიმდინარეობის წლები:	1

განმახორციელებელი კომპანია: დაკავებული თანამდებობა: ძირითადი ფუნქციები:	2
	3 და ა.შ.

სპეციალისტის ხელმოწერა

_____

კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა

_____

ბეჭედი

<u>10.7. ინფორმაციას შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ, უკანასკნელი 3 (სამი) წლის განმავლობაში გაწეული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურების გამოცდილების შესახებ.</u>

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს უკანასკნელი 3 (სამი) წლის (2012, 2013, 2014) განმავლობაში ერთ-ერთ წელს მაინც უნდა ჰქონდეს შესრულებული არანაკლებ **3.0** მლნ. ლარის ღირებულების ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებისათვის **(ზღვის და მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების და საავტომობილო გზებზე ხელოვნური და სარეგულაციო ნაგებობების - მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზაცია ან/და რეაბილიტაცია, ან/და სტიქიისა და პრევენციის სამუშაოები)** საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება.

ამასთან, შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს უკანასკნელი 3 (სამი) წლის (2012, 2013, 2014) განმავლობაში ჯამში უნდა ჰქონდეს შესრულებული არანაკლებ **6.0** მლნ. ლარის ღირებულების ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის სამუშაოებისათვის **(ზღვის და მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოების, ჰიდროტექნიკური ნაგებობების და საავტომობილო გზებზე ხელოვნური და სარეგულაციო ნაგებობების - მშენებლობა ან/და რეკონსტრუქცია ან/და მოდერნიზაცია ან/და რეაბილიტაცია, ან/და სტიქიისა და პრევენციის სამუშაოები)** საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურება.

უშუალოდ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის (ქვე-კონტრაქტორის გარეშე) გამოცდილება უნდა შეადგენდეს კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური სამუშაოების საერთო გამოცდილების არა ნაკლებ 70%-ს.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს კონკურსით გათვალისწინებული ანალოგიური ხასიათის, სირთულის და შინაარსის მომსახურებაზე გაფორმებული ხელშეკრულებების და ამ მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები (მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ცნობა). ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით შესრულებულ მომსახურებაზე.

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი **ცხრილი N 3-ის** შესაბამისად:

N	მომსახურების დასახელება (თითოეული ობიექტის დასახელებით)	შემსყიდველის დასახელება	სახელშეკრულებო ღირებულება (საპროექტო მომსახურების ღირებულება)	სამშენებლო ღირებულება
1				
2				
და ა.შ.				

10.8. ინფორმაციას ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ.

შენიშვნა: ქვე-კონტრაქტორის აყვანის შემთხვევაში, ქვე-კონტრაქტორზე წარმოდგენილი იქნას შემდეგი სახის ინფორმაცია.

* ქვე-კონტრაქტორის დასახელება და მისამართი;

* გასაწევი მომსახურების დასახელება;

* ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება. წარმოდგენილი იქნას ის ძირითადი ობიექტები, რომელზეც ქვე-კონტრაქტორს გაწეული აქვს ანალოგიური მომსახურება, თანხების და შესრულების ვადების მითითებით. წარმოდგენილი უნდა იქნას ასევე ამ ობიქეტებზე ხელშეკრულებების ასლები და მომსახურების დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლები_მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი ცნობა. ეს მოთხოვნა არ ვრცელდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით გაწეულ მომსახურებაზე).

ინფორმაცია წარმოდგენილი იქნას ქვემოთ მოყვანილი ცხრილი N 4-ის შესაბამისად:

ქვე-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი)	გასაწევი მომსახურების დასახელება	ქვე-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილება
1		
2		
და ა.შ.		

ქვე-კონტრაქტორის შესახებ წარმოდგენილი ინფორმაცია განიხილება შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის საკვალიფიკაციო მონაცემებთან ერთობლიობაში. ქვე-კონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%.

11. საკონკურსო წინადადებით წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ. ხელმოწერის გარეშე წარმოდგენილი წინადადება არ განიხილება. ამასთან დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. აღნიშნულ დოკუმენტებში აღმოჩენილი სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭება ქართულ თარგმანს.

12 შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა უცხო ქვეყნის პირებმა საზღვარგარეთ სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემული დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი სამსახურებიდან, დამოწმებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით (ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული).

13. საკონურსო კომისია არ ახდენს კონკურსანტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას. ასეთ შემთხვევაში, საკონკურსო კომისია იტოვებს უფლებას წერილობით მოთხოვოს კონკურსანტს წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღისა. აღნიშნულ ვადაში ტექნიკური დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის შემთხვევაში, კონკურსანტი დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

14. კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

15. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის სავარაუდო ღირებულებას (**126 000** ლარი) არ განიხილება.

16. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა:

16.1 კონკურსანტის გამოცდილება 0,7. (მათ შორის კონკურსანტის ტექნიკური აღჭურვილობა 0,1; ძირითადი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის გამოცდილება 0,35 და კონკურსანტი კომპანიის გამოცდილება 0,25).

16.2 საკონკურსო წინადადების ფასი 0,3.

16.3 შეფასება განხორციელდება 10-ბალიანი სისტემით.

16.4 თავდაპირველად შეფასდება კონკურსანტის გამოცდილება (ტექნიკური ნაწილი), დაანგარიშდება საკონკურსო კომისიის წევრთა მიერ შეფასებული ქულების საშუალო არითმეტიკული, რომელიც დაფიქსირდება საკონკურსო კომისიის სხდომაზე და ამის შემდეგ კონკურსანტების თანდასწრებით გაიხსნება კონკურსანტების მიერ შემოთავაზებული ფასები. ყველაზე დაბალი ფასის მქონე საკონკურსო წინადადება შეფასდება მაქსიმალური 3 ქულით, ხოლო დანარჩენი კონკურსანტების ფინანსური ნაწილი შეფასდება ფასების მიხედვით უკუპროპორციულად ყველაზე დაბალ ფასთან მიმართებაში.

16.5 გამარჯვებულად ჩაითვლება იმ კონკურსანტის საკონკურსო წინადადება, რომელიც ტექნიკური და ფინანსური ნაწილის შეფასების შედეგად დააგროვებს ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას.

16.6 ის კონკურსანტები, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ საკონკურსო განცხადების მე-10 მუხლის 10.5-10.8. პუნქტებით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, დისკვალიფიცირებული იქნებიან კონკურსიდან და უკან დაუბრუნდებათ ფინანსური წინადადების პაკეტები გაუხსნელად კონკურსის დასრულების შემდეგ.

16.7 საკონურსო კომისია არ ახდენს კონკურსანტის დისკვალიფიკაციას, თუ მის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეიცავს ისეთ მონაცემს ან/და შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომელთა წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას. ასეთ შემთხვევაში, საკონკურსო კომისია იტოვებს უფლებას წერილობით მოთხოვოს კონკურსანტს წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტება, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას, მაგრამ არა უმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღისა. აღნიშნულ ვადაში ტექნიკური დოკუმენტაციის დაუზუსტებლობის შემთხვევაში, კონკურსანტი დაექვემდებარება დისკვალიფიკაციას.

17. ანგარიშსწორების პირობები:

17.1. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში.

18.2. ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიხედვით.

19.3. წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) წესი განისაზღვრება ხელშეკრულების პროექტით განსაზღვრული პირობებით.

ტექნიკური დავალება

მუხლი 1. ზოგადი ნაწილი:

1.1 გრაფიკული და ტექსტობრივი დოკუმენტაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე;

1.2 წინამდებარე ტექნიკურ პირობებში და დავალებაში მოცემულია მითითებები, რითაც უნდა იხელმძღვანელოს "მიმწოდებელმა", რათა დამუშავდეს ოპტიმალური ფასის მქონე მაღალხარისხიანი პროექტები, მათ ხელთ არსებული და მისაღები ტექნოლოგიების გამოყენებით.

1.3 გასაწევი მომსახურების ღირებულება განისაზღვრება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების ხვედრითი წონით და გამოსახულ უნდა იქნეს ლარებში.

მუხლი 2. მომსახურების სახელწოდება და შემადგენლობა:

2.1 სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საჭიროა საპროექტო მომსახურებისა და საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის გაწევა.

2.2 მთლიანობაში, შესყიდვის ობიექტი უზრუნველყოფს სანაპირო ზონის მდგრადობის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავებას, მ.შ:
ა) სანაპირო ზონებში წყლის ნაკადებისა და ტალღების რეგულირებისა და ნაპირების საინჟინრო დაცვის საპროექტო სამუშაოებს;
ბ) სანაპირო ზონებში ეროზიული და აბრაზიული პროცესების გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრას და ნაპირქანების ქიმიურ-ფიზიკური თვისებების შესწავლის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების ასახვას;
გ) მოსალოდნელი პროცესებით გამოწვეული საშიში შედეგების პრევენციული ღონისძიებების ასახვას და რეკომენდაციების დამუშავებას;
დ) დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვების შედგენას;

2.3 შემსყიდველის დავალებით შესაძლებელია დამატებითი გაანგარიშებით გაუთვალისწინებელი მომსახურების გაწევა:

ა) საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის დამატებითი ეგზემპლარების გამრავლება;
ბ) ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;
გ) ტომებად, წიგნებად ეგზემპლარების აკინძვა;
დ) ტექნიკური დავალებით განსაზღვრული რთული ობიექტების საავტორო ზედამხედველობა;
ე) საჭიროების შემთხვევაში:

1). პროექტის კორექტირება;
2). გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტისა და განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავება;
3). სარეაბილიტაციო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა.

მუხლი 3. დავალების ზოგადი პირობები:

3.1 მიმწოდებელს მოეთხოვება ტენიკური დავალებით განსაზღვრული - სანაპირო ზონებში სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ახლად დაგეგმილი ნაპირსამაგრი ნაგებობებების მოსაწყობად საჭირო საკვლევაძიებო სამუშაოების ანალიზის საფუძველზე საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავება.

3.2 პროექტის წარდგენის ვადები განისაზღვრება თითოეული ობიექტის პროექტირებაზე გაცემული ინდივიდუალური დავალებით.

3.3 ნაპირსამაგრი ობიექტის პროექტირება მოიცავს საველე ტოპო-გეოდეზიურ საკვლევაძიებო სამუშაოებს, გეოლოგიური და ჰიდროლოგიური პირობების შესწავლას, მონაცემების კამერალურ დამუშავებას, პროექტირებას, მშენებლობის ორგანიზაციას, ხარჯთაღრიცხვასა და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენას.

3.4 სანაპირო ზონის მდგომარეობის, ხანგრძლივი დროის განმავლობაში ბუნებრივად ჩამოყალიბებული მორფოდინამიკური რეჟიმის სტაციონალური პირობების შენარჩუნების მიზნით მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ყოველი კონკრეტული ნაპირსამაგრი ობიექტების საპროექტო მომსახურება შეასრულოს საქართველოში მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების, სტანდარტებისა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) საკვლევაძიებო და საპროექტო სამუშაოების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის მოახდინოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სტრუქტურებთან და პირებთან პროექტების საჭირო წინასწარი შეთანხმებები (გარდა სამშენებლო მოედნის, ტერიტორიის გამოყოფის და განთავისუფლებისა, რომელიც წარმოადგენს შემსყიდველის მოვალეობას);
გ) პროექტში გათვალისწინებულ უნდა იქნას მშენებლობაში მიღწეული და დაგროვილი საერთაშორისო გამოცდილებები ახალი ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების გამოყენებით საქართველოს სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე;

3.5 ხელშეკრულების შესრულების პროცესში შემსყიდველის დავალებით რთულ ნაპირსამაგრ სამუშაოებს მიმწოდებელი გაუწევს საავტორო ზედამხედველობას.

შენიშვნა: საავტორო ზედამხედველობის აუცილებლობა განისაზღვრება ობიექტების პროექტირებაზე ტექნიკური დავალების გაცემისას და/ან პროექტის განხილვის პროცესში.

მუხლი 4. მომსახურების გაწევის ადგილი

მომსახურების გაწევისათვის მიმწოდებელი პასუხისმგებელია ყველა საჭირო საოფისე ფართის, აღჭურვილობის, მოწყობილობის ტრანსპორტის უზრუნველყოფაზე და ყველა საველე სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკაზე და ხელსაწყოებზე.

მუხლი 5. მიმწოდებლის პასუხისმგებლობა

მიმწოდებელი პასუხისმგებელია სრულყოფილი საპროექტო-სატენდერო დოკუმენტაციის ხარისხიანად დამუშევებაზე და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე. მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს მიღებული ნაპირსამაგრი ღონისძიებების პროექტების ეფექტურობა.

მუხლი 6. კუთვნილება

8.1 ამ დავალებასთან დაკავშირებული მომზადებული ნებისმიერი შესწავლა, ანგარიშები, გრაფიკული ან სხვა სახის მასალები ეკუთვნის შემსყიდველს და რჩება მის საკუთრებაში;

8.2 მიმწოდებელს არ აქვს ამ მასალების გამოყენების უფლება სხვა სამუშაოების შესასრულებლად შემსყიდველის წინასწარი თანხმობის გარეშე;

8.3 შემსყიდველის მითითებით მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს პროექტის სრული მოცულობის ელექტრონული პდფ და უტოჩად ვერსია.

მუხლი 7. საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის რაოდენობა

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების რაოდენობა:
ა) საპროექტო დოკუმენტაცია – 3 ეგზ.;
ბ) სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია – 2 ეგზ.;
გ) სატენდერო დოკუმენტაცია 8 ეგზ.;
დ) პროექტის ელ.ვერსია – 2+2 ეგზ.

გასაწევი მომსახურება და ტექნიკური სპეციფიკაციები

მუხლი 1. გასაწევი მომსახურება:

1.1 მომსახურების სახეობა:
ა) საველე საკვლევაძიებო და კამერალური სამუშაოები;
ბ) საპროექტო სამუშაოები;
გ) სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება;
დ) დეფექტური უწყისებით ხარჯთაღრიცხვის შედგენა;

1.2 საჭირო შემთხვევაში დამატებითი მომსახურების გაწევა:
ა) საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის დამატებითი ეგზემპლარების გამრავლება;
ბ) ხარჯთაღრიცხვების გადაანგარიშება;
გ) ტომებად, წიგნებად ეგზემპლარების აკინძვა;
დ) ტექნიკური დავალებით განსაზღვრული რთული ობიექტების საავტორო ზედამხედველობა;
ე) საჭიროების შემთხვევაში:
1). პროექტის კორექტირება;
2). გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტისა და განსახლების სამოქმედო გეგმის შემუშავება;
3). სარეაბილიტაციო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა,

მუხლი 2. სპეციფიკაციები

2.1 სანაპირო ზონებში ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო მომსახურება ეყრდნობა ადგილობრივ კლიმატურ, გეოლოგიურ, ჰიდროლოგიურ და მრავალწლიანი დაკვირვებების პირობებს.

2.2 საველე-საკვლევაძიებო სამუშაოები:

2.2.1 ადგილმდებარეობის რეკოგნოსცირება და საჭიროების შემთხვევაში მიყენებული ზარალის დადგენა; სანაპირო ზონების დაზიანებული მონაკვეთის შემოხაზვა, რომელსაც სჭირდება გადაუდებელი ნაპირსამაგრი ღონისძიებების ჩატარება;

2.2.2 რეგიონის შესწავლა: გეოლოგიური, ჰიდროლოგიური მაჩვენებლების ანალიზი, საპროექტო მონაკვეთზე მდინარეთა, წყალსატევებისა და ზღვის რეჟიმის მოქმედების გამოკვლევა, რეგიონის მაცხოვრებლების მიერ მრავალწლიანი დაკვირვებების შესწავლა;

2.2.3 ადგილმდებარეობის ტოპოგეოდეზიური გადაღება,

2.2.4 საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოების საფუძველზე გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მაჩვენებლების დადგენა,

2.2.5 საჭიროების შემთხვევაში მდინარის და მიწისქვეშა წყლების ქიმიური შემადგენლობის გამოკვლევა,

2.2.6 მდინარეთა წყალსატევებისა და ზღვის მოკლე და გრძელვადიანი წყლის დონის მერყეობის დადგენა (მაქსიმუმი-მინიმუმი) და ა. შ.;

2.2.7 ადგილობრივი მასალების მარაგების დადგენა.

2.3 კონსტრუქციული ღონისძიებები

2.3.1 სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი ღონისძიებები მოიცავენ, მაგრამ არ შემოიფარგლება:
ა) დამცავი ყრილის მოწყობას გრუნტის მასალიგან საჭირო ქანობის დაცვით მშრალ ადგილებში ან წყალში ჩაყრით;
ბ) შესაბამისი ზომის ქვის ნაყარი მოწყობას ფერდობზე;
გ) ნაპირის ფერდობის გამაგრებას ბალახის დათესვით;
დ) სანაპირო ფერდის მოშანდაკებას ქვით საყრდენში რისბერმის მოწყობით;
ე) ფერდობების დაცვას მონოლითური ბეტონით შესაბამისი კბილის მოწყობით;
ვ) ფერდობების დაცვას ანაკრები რკინაბეტონის ფილებით შესაბამისი კბილის მოწყობით;
ზ) ნაპირის გამაგრებას ბეტონის დეზებით;
თ) ნაპირის გამაგრებას გაბიონებით;
ი) ნაპირის დაცვას რკინაბეტონის ან ლითონის შპუნტებით;
კ) საყრდენი კედლების აგებას ქვით, ბეტონით, რკინაბეტონით საძირკველში ხიმინჯების გამოყენებით ან ბუნებრივ ფუძეზე მოწყობით;
ლ) სანაპირო ზონების გაწმენდას მონატანებისაგან;
მ) ზღვის სანაპირო ზონების გამაგრებას საყრდენი – ტალღამრეკლი კედლითა და ბუნებით (ნატან შემაკავებელი ზღუდარებით);
ნ) სანაპირო ზონების გამაგრებას წყალქვეშა და წყალზედა ტალღმტეხი საშუალებებით;
ო) სანაპირო ზონების დაცვას ხელოვნური პლაჟების მოწყობით (სანაპირო ზოლში ნატანის შეტანით);
პ) როგორც აუცილებელი ღონისძიება - ყველა საჭირო შემთხვევაში სანაპირო ზონებში წყლის ნაკადისა და ტალღური რეჟიმის რეგულირებისათვის შესაბამისი ღონისძიებების შესრულება;

მუხლი 3. ტექნიკური რეგლამენტები და სტანდარტები

რეკომენდირებულია და მიმწოდებელი ვალდებულია პროექტის განხორციელებისას იხელმძღვანელოს საქართველოს მთავრობის დადგენილებებით:
ა). №45 24.02.2006 წ. – "საქართველოს მიერ სხვა ქვეყნების ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და მოქმედების წესის შესახებ";
ბ). №52 14.01.2014 წ. – "საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტების აღიარებისა და სამოქმედოდ დაშვების შესახებ".

3.ხელშეკრულების პროექტი

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად. ხელშეკრულების პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

ერთის მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - **საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი,** მისი თავმჯდომარის ---------- -------- სახით, **შემდგომში: შემსყიდველი,** და **----------**, მისი დირექტორის **----------** სახით, შემდგომში - მიმწოდებელი, მეორეს მხრივ,,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ყ"ქვეპუნქტის, 10^2 მუხლის პირველი პუნქტის და შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის საშუალებით გამოცხადებული კონკურსის (N ----) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

<u>მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი</u>

1.1. ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ---------- - შემდგომში მომსახურება.

<u>მუხლი 2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი</u>

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით შეადგენს **----------** (----------) ლარს.

2.2 მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ ლარებში, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

2.3 მიმწოდებელი ანგარიშსწორებისას ვალდებულია ყოველ თვეში წარმოადგინოს, ფაქტიურად შესრულებული მომსახურების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით) ღირებულება საანგარიშო პერიოდისა და ნაზარდი ჯამის ჩვენებით.

2.4 ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელი, ხელშეკრულებით და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადების შესაბამისად, წარუდგენს შემსყიდველს დასრულებულ საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციას. შემსყიდველის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების შემდგომ, დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი (წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურა), რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას მიღება-ჩაბარების აქტისა და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან **25** დღის განმავლობაში.

2.5 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების 2.4 პუნქტის შესაბამისად, მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი დასრულებული საპროექტო დოკუმენტაცია, საჭიროებს საექსპერტო დასკვნას, შემსყიდველი, დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტის საფუძველზე უნაზღაურებს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულების 70%-ს, ხოლო დადებითი საექსპერტო დასკვნის წარმოდგენის შემდგომ - დარჩენილ - 30%-ს.

2.6 მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარუდგინოს შემსყიდველს, ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი და ჯამური (დამატებული ღირებულებისა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით) ღირებულება.

2.6 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად გაწეული მომსახურების მოცულობების მიღების აქტი) და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის გაფორმების საფუძველზე.

2.7 საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი გასწევს საჭიროებიდან გამომდინარე საპროექტო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიუხედავად.

2.8 აუცილებლობის (საჭიროების) შემთხვევაში, მიმწოდებელს შეუძლია შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით.

2.9 მიუხედავად შესაბამისი წერილობითი მოთხოვნისა, შემსყიდველი უფლებამოსილია არ დააკმაყოფილოს თხოვნა ავანსის გაცემის თაობაზე.

2.10 შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს გასაცემი ავანსის ოდენობის უპირობო საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.

2.11 მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა განისაზღვრება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების არაუმეტეს **20** პროცენტის ოდენობით. მრავალწლიანი ტენდერის შემთხვევაში საავანსო თანხა გაიცემა იმავე პროცენტული ოდენობით, მოთხოვნის მომენტისათვის არსებული წლის შესაბამისი ღირებულებიდან.

2.12 აღნიშნული თანხა მიმწოდებლის მიერ გამოყენებული იქნება მხოლოდ ამ კონტრაქტით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზნით. შემსყიდველის მიერ გაცემული ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$d = \frac{A*(X\%-Y\%)}{70 - 20}$$

d =არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში;

A=წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;

X=წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის შესრულებული სამუშაოთა შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.

Y =არის(X)წინა პერიოდისათვის.

2.13 შემსყიდველი უფლებამოსილია აამოქმედოს ავანსის უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების მე-2 მუხლის 2.13 პუქნტის დარღვევისა და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუკი შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გაცემული ავანსი ან მისი ნაწილი.

2.14 ავანსით გათვალისწინებული თანხის გადარიცხვა იწარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ უპირობო საბანკო გარანტიის წარმოდგენის საფუძველზე.

2.15 იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასების (პროცენტების) შესაბამისად. აღნიშნულიდან გამომდინარე მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელი მომსახურების მოცულობათა შესრულებაზე და მის გადახდაზე.

<u>მუხლი 3. მომსახურების შესაბამისობა</u>

3.1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგერთვე ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც ამ ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე მისი განუყოფელი ნაწილი ხდება.

<u>მუხლი 4. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი</u>

4.1. მიმწოდებლისაგან წარმოდგენილი დასრულებული დოკუმენტაციის (ნახაზები, ხარჯთაღრიცხვა, სატენდერო დოკუმენტაცია, ტექნიკური ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია) ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების (მაგრამ მიმწოდებლისაგან დასრულებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუმეტეს 28 დღისა) შემდეგ შემსყიდველი მიიღებს წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციას, რაზედაც დგება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და სრულ ასანაზღაურებელ თანხას.

4.2. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება, მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.

4.3 საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე მიმდინარე სამუშაოების განხორციელების პერიოდში, შემოწმების ან/და ექსპერტიზის დასკვნის შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, ურთიერთშეთანხმებულ ვადებში.

4.4 იმ შემთხვევაში, თუ გაწეული ან მიმდინარე მომსახურების ინსპექტირების შედეგები უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე და ანაზღაურებაზე.

4.5 გაწეული მომსახურების მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი და/ან, საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი საავტომობილო გზის მონაკვეთი. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების მოცულობას და ხარისხს.

4.6 შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ხელშეკრულების ღირებულებისა და ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული ობიექტის ფარგლებში შეუკვეთოს მიმწოდებელს ტექნიკურ დავალებაში აღნიშნული დამატებითი მომსახურების გაწევა.

<u>მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი</u>

5.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების შესრულების პროცესში იხელმძღვანელოს ამ ხელშეკრულების 3.1. პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან ----------;

გ) მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება განახორციელოს ჯეროვნად, ხელშეკრილების პირობების, ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, ასევე ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალების თანახმად;

დ) მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების შესახებ;

ე) საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის დაუყონებლივ აღმოფხვრა;

ვ) საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლის (საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე სამუშაოების განმახორციელებელი მიმწოდებლის) მხრიდან წარმოდგენილ პროექტში შესატანი ცვლილების თაობაზე წარდგენილი მოთხოვნის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს თავისი მოსაზრება ამ ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ, წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის მიუხედავად;

ზ) ანგარიშსწორებისას საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში მიუთითოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი და ჯამური ღირებულება;

თ) შემსყიდველს დაუყონებლივ აცნობოს მისი ორგანიზაციის მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე სხვა გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს მის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას.

5.2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) აწარმოოს ინსპექტირება საამისოდ შერჩეულ პირთან ერთად მომსახურების გაწევის მიმდინარეობაზე, თანახმად ხელშეკრულების პირობების, ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების, რომელთა დარღვევის შემთხვევაში იგი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები;

ბ) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

5.3. ხელშეკრულებით და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ შემსყიდველის და მიმწოდებლის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

5.4. შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად მომსახურების გაწევის მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.

5.5. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის და ყოველ კონკრეტულ ობიექტზე სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად გაცემული ტექნიკურ დავალებით განსაზღვრულ ვადებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე. ვადებში ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

5.6. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ, შექმნილი აუცილებლობიდან გამომდინარე, ტექნიკური დავალება მომსახურების გაწევის თაობაზე გაცემულია ხელშეკრულების მოქმედების ვადის ბოლოს და ამის გამო, მიმწოდებელი ვერ ასწრებს აღნიშნული დავალების შესრულებას ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში, იგი შემსყიდველთან შეთანხმებით, გააგრძელებს მომსახურების გაწევას ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვის მიუხედავად, აღნიშნული ტექნიკური დავალების საბოლოო დასრულებამდე, ხოლო შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს გაწეულ ხარჯებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სახარჯთაღრიცხვო პირობების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ფორმდება წინამდებარე ხელშეკრულების დანართი შეთანხმება მომსახურების გაწევის ახალი ვადების გათვალისწინებით.

<u>მუხლი 6. ფორს-მაჟორი</u>

6.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომლის წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

6.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენის/ების დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ ამ მოვლენამ არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

<u>მუხლი 7. პასუხისმგებლობა</u>

7.1. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ყოველი კონკრეტული ობიექტის საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების ან ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობის გაწევის მომსახურების ღირებულების 3 (სამი) პროცენტი, მაგრამ არანაკლებ 1 000 (ათასი) ლარისა არაუგვიანეს 14 საბანკო დღეში და უზრუნველყოს დარღვევის დაუყოვნებლივ გამოსწორება.

7.2 იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულების პირობების დაღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების **5** (ხუთი) პროცენტს, მეორე მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

<u>8. ხელშეკრულების შეწყვეტა</u>

8.1 ხელშეკრულების დამდები ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

8.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 ხელშეკრულების შეწყვეტის გაფორმება ხდება დანართი შეთანხმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად (წერილობითი ფორმით) შეწყვეტის შესაძლებლობა.

8.4 შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ამ ხელშეკრულების მოქმედება, თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს ამ ხელშეკრულების პირობებს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს);

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების საქმე (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების ჯეროვან შესრულებაზე;

ე) ამოიწურა ხელშეკრულების გარანტიით განსაზღვრული თანხა და მიმწოდებელმა არ წარმოადგინა ახალი გარანტია.

<u>მუხლი 9. სამართლმემკვიდრეობა და უფლებამონაცვლეობა</u>

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობები სავალდებულოა, როგორც ხელშეკრულების მხარეებისათვის, ასევე მათი სამართალმემკვიდრეებისათვის.

9.2 წინამდებარე ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

9.3 მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

<u>მუხლი 10. სუბკონტრაქტორები</u>

10.1 მომსახურების გაწევის პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა, ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

10.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს;

10.3 ქვე-კონტრაქტორის მიერ შესასრულებელი გასაწევი მომსახურების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%.

10.4 მიმწოდებელი და მისი ქვეკონტრაქტორი ვალდებულნი არიან დასაპროექტებელ ობიექტზე შეარჩიონ და დანიშნონ ის წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტები, რომლებიც მოხსენებული იყო მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემებში და მოწონებულია შემსყიდველის მიერ.

10.5 მიმწოდებელს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს დამატებით აიყვანოს სპეციალისტი (ები), მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემებში წარმოდგენილი მასთან მომუშავე წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტის სიობრივი რაოდენობის ზევით.

<u>მუხლი 11. შეტყობინება</u>

11.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

11.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

<u>მუხლი 12. ინსპექტირება</u>

12.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების და მისი დანართების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე, მათ შორის მომსახურების ხარისხის პერიოდულ ინსპექტირებაზე. გაწეული მომსახურების ტექნიკური ინსპექტირება და კონტროლი (მონიტორინგი) ევალება შემსყიდველი ორგანიზაციის - საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს, ხოლო ფინანსური მონიტორინგი – ამავე დეპარტამენტის ფინანსების მართვის სამმართველოს.

12.2. ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს შესრულებული სამუშაოს ხარისხის ინსპექტირება.

12.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

12.4 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის დაუყონებლივ აღმოფხვრა.

<u>მუხლი 13. სხვა პირობები</u>

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

13.2 ნებისმიერი გადახრა ან ცვლილება ამ ხელშეკრულების პირობებში დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

13.3 იმ შემთხვევაში, 3თუ მომსახურების გაწევის დროს ამ ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე, ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის ფასების გადასინჯვის შესაძლებლობა, ასეთი

ცვლილებები დასაშვებია წინამდებარე ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში და ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

13.4 ნებისმიერ ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

13.5 მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში დაფიქსირებული და შემსყიდველთან შეთანხმებული გასაწევი მომსახურების ფასები (პროცენტი) წარმოადგენს ხელშეკრულების ძირითად პარამეტრებს მისი მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში.

13.6 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.7 მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმებითა და მოლაპარაკებების გზით; მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13.8 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი მიმწოდებელთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13.9 მიმწოდებლის საატენდერო წინადადება (ხარჯთაღრიცხვა, საგარანტიო უზრუნველყოფა, ტექნიკური პირობები, გასაწევი მომსახურების ჩამონათვალი, სპეციფიკაციები) თან ერთვის და წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

<u>მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა</u>

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან ----------, გარდა ხელშეკრულებაში განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულბის მოქმედების ვადაზე.

<u>მუხლი 15. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები</u>

შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, მის. საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი №12, საიდენტიფიკაციო კოდი 211 343 982, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ TRESGE22, ანგარიშის №200122900.

ხელმოწერა _____

ბ.ა.

მიმწოდებელი:----------

ხელმოწერა_____ **ბ.ა.ბ.ა.**

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1. საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია შემდეგ საკონტაქტო პირებთან:

თეიმურაზ კაპანაძე ტელ: +995 32 37 05 08 (357)

თენგიზ გველესიანი ტელ: +995 32 37 05 08 (229)

ლევან როსტომაშვილი ტელ: +885 32 37 05 08 (292)

დანართი №1

ა ფ ი დ ა ვ ი ტ ი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ რომ:

- ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
- უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;
- ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;
- ჩემთვის ცნობილია, რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;
- მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. საკონკურსო წინადადების ფასი;
2. საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
3. საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
4. ისეთი სკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ დააკმაყოფილებს გამოცხადებული კონკურსის პირობებს;
5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

*საკონკურსო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე. გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისათვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმომწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებლივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 185[1] მუხლის შესაბამისად.

ხელმოწერა ----------

დანართი №2

1. **რეკვიზიტები:**

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:	
ხელმძღვანელის სახელი და გვარი:	
პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:	
საიდენტიფიკაციო კოდი:	
პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:	
ელექტრონული მისამართი:	
ბანკის კოდი:	
ანგარიშსწორების ანგარიში:	
საკონკურსო წინადადების ფასი:	

--- ---

(თანამდებობა) (ხელმოწერა)

ბ.ა.

დანართი №3

ხარჯთაღრიცხვა

სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა და ცალკეულ ობიექტებზე საჭიროების შემთხვევაში საავტორო ზედამხედველობა;

ძირითადი საპროექტო მომსახურება

საპროექტო მომსახურების დასახელება	სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოების სავარაუდო ღირებულება, ლარი	სატენდერო წინადადება	
		საპროექტო ღირებულება %	მთლიანი საპროექტო ღირებულება, ლარი
1	2	3	4
სანაპირო ზონების ნაპირსამაგრი სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და სატენდერო დოკუმენტაციების შედგენაზე მომსახურების გაწევა	—	—	
დღგ 18%	—	—	
სულ ძირითადი საპროექტო მომსახურება დღგ-ს ჩათვლით	**5 714 286**		
დამატებითი მომსახურებისათვის საჭირო ხარჯები, ძირითადი საპროექტო მომსახურების **5** %-ს ოდენობით	—	—	
მთლიანად	—	—	

--- --- ---

(ხელმოწერა) (თანამდებობა) (პრეტენდენტის დასახელება)

(ბეჭდის ადგილი)

დამატებითი მომსახურება (საჭიროების შემთხვევაში. სამუშაოები, რომლებიც არ შედის ძირითად საპროექტო მომსახურებაში)

დამატებითი მომსახურების დასახელება	განზომილება	ერთეული	სატენდერო წინადადება
1	2	3	4
საავტორო ზედამხედველობა	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
საპროექტო და სატენდერო დოკუმენტაციის დამატებითი ეგზემპლიარების გამრავლება: (სტანდარტული ფორმა -4): ტექსტი . . . . . . ნახაზები . . . . (სტანდარტული ფორმა -3) ტექსტი . . . . . . ნახაზები . . . . ტომებად, წიგნებად დამატებითი ეგზემპლიარების აკინძვა	 ფურცელი ფურცელი ფურცელი ფურცელი 1 წიგნი	 ლარი ლარი ლარი ლარი ლარი	
გარემოზე ზემოქმედების შეფასების საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავება	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
განსახლების სამოქმედო გეგმის დამუშავება	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
პროექტის კორექტირება	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
ხარჯთაღრიცხვის გადაანგარიშება	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	
სამშენებლო მონაკვეთის განთვისების ზოლის (ბუფერის) სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრებთან ზედდების შემთხვევაში ტყის ფონდიდან ტერიტორიის ამორიცხვა, არა უმეტეს საქართველოს მთავრობის 20.08.2010 წ. №242 „ტყით სარგებლობის წესის დამტკიცების შესახებ“ დადგენილებით განსაზღვრულისა	საპროექტო სამუშაოების ღირებულებიდან	%	

--- --- ---

(ხელმოწერა) (თანამდებობა) (პრეტენდენტის დასახელება)

(ბეჭდის ადგილი)